

ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტებისა და მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების ეპიდზედამხედველობა

მიზანი: ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების და „მეთვალყურეობიდან დაკარგული“ პაციენტების ეპიდზედამხედველობა, ტუბსაწინააღმდეგო სტანდარტული მკურნალობის გაგრძელების უზრუნველყოფა და სამოქალაქო სექტორში დაავადების ტრანსმისიის რისკის შემცირება.

სამიზნე ჯგუფი: რეკომენდაციების სამიზნე ჯგუფია ორივე სქესის ნებისმიერი ასაკის პაციენტი, რომელსაც უკვე მიენიჭა დეფინიცია „მეთვალყურეობიდან დაკარგული“ ან ავლენს მკურნალობაზე ცუდ დამყოლობას, ასევე ის პაციენტები, რომლებიც ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის პერიოდში გათავისუფლდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან.

ვისთვის არის განკუთვნილი რეკომენდაცია: რეკომენდაცია განკუთვნილია მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის ეპიდემიოლოგებისათვის.

განმარტებები:

მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტი - ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტი, რომელმაც ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა შეწყვიტა თანმიმდევრული ორი ან მეტი თვის განმავლობაში.

ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციმარი - ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციმარი, რომელთანაც ტუბერკულოზის ნებისმიერი ფორმის დიაგნოზი დაისვა და სტანდარტული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა დაიწყო, მაგრამ არ დასრულებულა სასჯელაღსრულების სისტემაში. სამოქალაქო სექტორის საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის ასეთი პაციენტი განიხილება როგორც ახალი შემთხვევა.

აქტუალობა/ფუნქციები:

შეწყვეტილი ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის მქონე პაციენტთან და ტუბერკულოზით დაავადებულ გათავისუფლებულ პაციმართან არ არის დასრულებული სტანდარტული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის პაციენტის კლინიკური მდგომარეობის გაუარესების, ლეტალური გამოსავლის დაფიქსირების, საზოგადოებაში ტუბერკულოზის ტრანსმისიისა და რეზისტენტული ტუბერკულოზის განვითარების რისკს.

არასრულ ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობასთან დაკავშირებული რისკების შემცირებაზე ფთიზიატრიულ ქსელთან ერთად პასუხისმგებელია მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, რომლის ეპიდემიოლოგის ვალდებულებაში შედის:

- ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების ეპიდზედამხედველობა;
- მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების ეპიდზედამხედველობა;

აღნიშნული გულისხმობს:

- მათ მოძიებას;
- საგანმანათლებლო მუშაობის ჩატარებას;
- ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობაში კვლავ ჩართვის მიზნით ფთიზიატრთან რეფერალის უზრუნველყოფას.

ტუბერკულოზით დაავადებული გათავისუფლებული პაციენტების ეპიდზედამხედველობა:

- საპაციენტოდან გათავისუფლებულ ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა სია სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ყოველთვიურად გადაეცემა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- ცენტრი) გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტს;
- ტუბერკულოზით დაავადებულ გათავისუფლებულ პაციენტთა სია ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის მიერ იმავე დღეს, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ეგზავნება შესაბამისი მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურს;
- მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ეპიდემიოლოგი (შემდგომში - ეპიდემიოლოგი) 72 საათის განმავლობაში ახორციელებს ვიზიტს ყოფილი პაციენტის ბინაზე;
- ბინაზე ვიზიტისას ეპიდემიოლოგი ყოფილი პაციენტის ინფორმაციას აწვდის სტანდარტული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის დასრულების და ფთიზიტრთან ვიზიტის აუცილებლობის შესახებ. ასევე, ტუბერკულოზის გადაცემის გზების, პრევენციის და ინფექციის კონტროლის ინდივიდუალური ნორმების დაცვის მნიშვნელობის შესახებ;
- მკურნალობის გასაგრძელებლად ყველა მოძიებული ყოფილი პაციენტი ეპიდემიოლოგი აგზავნის ფთიზიატრთან;
- რეფერალის განსახორციელებლად და ფთიზიატრთან ყოფილი პაციენტის ვიზიტის უზრუნველსაყოფად ეპიდემიოლოგი აფორმებს ფთიზიატრთან მიმართვის შესაბამის ფორმას (ფორმა 4) და ხელზე ატანს გათავისუფლებულ პაციენტს;
- ეპიდემიოლოგის მიერ ეპიდკვლევის დასრულებიდან 24 საათში, მაგრამ ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტიდან შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 4 სამუშაო დღისა, ფთიზიატრიულ დაწესებულებაში და ცენტრის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტში უნდა გაიგზავნოს შეტყობინება მის მიერ რეფერირებული ყოფილი პაციენტების თაობაზე (თუ ეპიდკვლევის წარმოებისას ყოფილი პაციენტის მხრიდან მიწოდებული იქნა ინფორმაცია, რომ ის უკვე იმყოფებოდა ფთიზიატრთან, შეტყობინების ფორმაში უნდა გაკეთდეს შესაბამისი მინიშნება);
- ფთიზიატრი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ეპიდემიოლოგს და ცენტრის სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტს აწვდის ინფორმაციას, რეფერირებული ყოფილი პაციენტების სიიდან მისული პაციენტების თაობაზე;
- იმ შემთხვევაში, თუ ფთიზიტრის მიერ წარმოდგენილ სიაში არაა მითითებული ეპიდემიოლოგის მიერ რეფერირებული რომელიმე ყოფილი პაციენტი, ეპიდემიოლოგის მიერ ტარდება ხელმეორე ვიზიტი ყოფილ პაციენტთან კვლევის ჩასატარებლად ზემოაღნიშნული სქემის გათვალისწინებით, ხოლო იგივე შედეგის ხელმეორედ დადგომისას, უნდა დაიწყოს „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით ასეთი შემთხვევებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების ინიცირება.

ფთიზიატრთან მიმართვის ფორმა გათავისუფლებული პაციენტებისათვის

- სახელი -----
- გვარი -----
- პირადი ნომერი -----
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, მისამართი) -----

- დიაგნოზის დასმის თარიღი (დღე, თვე, წელი) ___/___/___
- გათავისუფლების თარიღი (დღე, თვე, წელი) ___/___/___
- ეპიდემიოლოგის ხელმოწერა -----
- ფორმის შევსების თარიღი (დღე, თვე, წელი) ___/___/___

მეთვალყურეობიდან დაკარგული პაციენტების ეპიდზედამხედველობა:

- ფთიზიატრიული პროფილის დაწესებულებაში ცალკე აღირიცხება ისეთი პაციენტები, რომლებთანაც დაფიქსირდა გამოსავალი - მეთვალყურეობიდან დაკარგული და/ან პაციენტები, რომელებიც ავლენენ მკურნალობაზე ცუდ დამყოლობას.
- ფთიზიატრი ვალდებულია ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშგებო თვის მომდევნო თვის 10 რიცხვისა, ცენტრის გადამდებ დაავადებათა და სახელმწიფო პროგრამების დეპარტამენტებში და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალურ სამსახურში, წარადგინოს ინფორმაცია მეთვალყურეობიდან დაკარგულ და/ან მკურნალობაზე ცუდი დამყოლობის პაციენტებზე;
- ეპიდემიოლოგმა მიღებული მონაცემების საფუძველზე 72 საათის განმავლობაში ახორციელებს ვიზიტს პაციენტის ბინაზე;
- ბინაზე ვიზიტისას ეპიდემიოლოგი გაესაუბრება პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს, აზუსტებს მკურნალობის შეწყვეტის მიზეზს, ცდილობს პაციენტთან ერთად მისი ინდივიდუალური პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებას. ამასთანავე, ეპიდემიოლოგი პაციენტს და მისი ოჯახის წევრებს აწვდის ინფორმაციას სტანდარტული ტუბსაწინააღმდეგო მკურნალობის დასრულების და ფთიზიატრთან ვიზიტის აუცილებლობის, ტუბერკულოზის გადაცემის გზების, პრევენციის და ინფექციის კონტროლის ინდივიდუალური ნორმების დაცვის მნიშვნელობის შესახებ;
- მეთვალყურეობიდან დაკარგულ ან მკურნალობაზე ცუდი დამყოლობის პაციენტს ეპიდემიოლოგი მკურნალობის გასაგრძელებლად აგზავნის ფთიზიატრთან;
- ეპიდემიოლოგის მიერ ეპიდკვლევის დასრულებიდან 24 საათში, მაგრამ ფთიზიატრისაგან შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 4 სამუშაო დღისა, ფთიზიატრიული პროფილის დაწესებულებაში და ცენტრის შესაბამის დეპარტამენტებში იგზავნება შეტყობინება მის მიერ პაციენტთან განხორციელებული ბინაზე ვიზიტის თაობაზე;
- ფთიზიატრი შეტყობინების მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში ეპიდემიოლოგს და ცენტრის შესაბამის სამსახურებს აწვდის ინფორმაციას რეფერირებული პაციენტების სიიდან მკურნალობის გასაგრძელებლად გამოცხადებული პაციენტების თაობაზე;

➤ იმ შემთხვევაში, თუ ფტიზიტრის მიერ წარმოდგენილ სიაში არაა მითითებული ეპიდემიოლოგის მიერ რეფერირებული პაციენტი, ეპიდემიოლოგის მიერ ტარდება ხელმეორე ვიზიტი, ხოლო იგივე შედეგის ხელმეორედ დადგომისას იწყება „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით ასეთ შემთხვევებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების ინიცირება.

ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემის უზრუნველსაყოფად, შეტყობინებები ფტიზიტრიულ, ეპიდემიოლოგიურ და ცენტრის შესაბამის სამსახურებს შორის წარმოებს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ამასთან, სჯდ ცენტრი ვალდებულია 2 წლის განმავლობაში შეინახოს ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები (ფორმა N2), ხელმოწერილი გამოკვლეული ბენეფიციარის მხრიდან.